დამატებითი განმარტება პროგრამა "Turnitin"-ის სარგებლობის თაობაზე
(ხშირად წამოჭრილი პრობლემები)

ნაშრომი პროგრამაში უნდა აიტვირთოს სტუდენტის მიერ პირადად, მისი საუნივერსიტეტო ელ. ფოსტით შექმნილი პროფილიდან, ჩანართში **„ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება მაგისტრატურისთვის - საბოლოო ვერსია".** სხვა ჩანართში (მათ შორის, საცდელ ვერსიაში) ატვირთული ნაშრომი არ მიიღება!

1. სტუდენტი უნდა იყოს რეგისტრირებული e-learning-ის სისტემაში თსუ-ის ელ.ფოსტით. თუ არ არის რეგისტრირებული, უნდა შექმნას ახალი ანგარიში **(თსუ-ის ელ. ფოსტით)**. uni.tsu.ge პორტალის მეშვეობით წვდომას ვერ შეძლებთ!

2. თუ ვერ ახერხებთ წვდომას თსუ-ის მეილზე (ნებისმიერი მიზეზიდან გამომდინარე, მათ შორის, არ გქონდათ გააქტიურებული ფოსტა, დაგავიწყდათ პაროლი და სხვა) **მიმართეთ თსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს** (მის.: ჭავჭავაძის გამზ. №1 (თსუ-ის 1-ელი კორპ.), აუდ. 05).

3. თუ რეგისტრაციის/e-learning-ის სისტემაში შესვლის შემდეგ ვერ ახერხებთ წვდომას **თსუ იურიდიული ფაკულტეტის კურსზე**, რის გამოც არ გიჩანთ ჩანართი, სადაც უნდა აიტვირთოს ფაილი, მაშინ, მითითებულ ბმულზე გადასვლის შემდეგ, უნდა დააჭიროთ ღილაკს "**enroll me**", რომლის მეშვეობითაც გაწევრიანდებით კურსზე და შეძლებთ პროგრამით სარგებლობას.

4. სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს პლაგიატის პროგრამის **საცდელი ვერსიით** (ჩანართი "ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება - საცდელი ვერსია"). მასში ნაშრომის ატვირთვა შესაძლებელია შეუზღუდავი რაოდენობით, თუმცა, სამჯერ ატვირთვის შემდეგ, ნაშრომის ყოველი მომდევნო წარდგენა შესაძლებელი იქნება ბოლო ატვირთვიდან მხოლოდ 24 საათის გასვლის შემდეგ. ატვირთული ნაშრომი არ ინახება ბაზაში.

5. ყველა ასატვირთი ფაილი უნდა იყოს Microsoft Word ფორმატში.

6. თუ ვერ ახერხებთ ნაშრომის ატვირთვას იმ მიზეზით, რომ **ფაილი აჭარბებს დაშვებულ ზომას (5 MB)**, წაშალეთ თავფურცელზე არსებული თსუ-ს ლოგო და **ჩაანაცვლეთ ის ინტერნეტში განთავსებული სხვა, უფრო მცირე ზომის ლოგოთი** (იგულისხმება ფაილის ზომა MB-ში და არა მისი ზომა ვორდის ფურცელზე). უკიდურეს შემთხვევაში, წაშალეთ ლოგო, შექმენით ახალი word-ის ფაილი, გადააკოპირეთ ნაშრომი სრულად და იქ დაურთეთ ახალი, მცირე ზომის ლოგო საჭირო ადგილას. ფოტო, ფაილში ჩასმამდე **წინასწარ შეკუმშეთ** (**compress image** სერვისებით).

7. Turnitin-ის საცდელი და საბოლოო ვერსიების მიერ დაგენერირებულ მსგავსების ანგარიშებს შორის არსებული **სხვაობა პროცენტულ მაჩვენებელში** **გამოწვეულია პროგრამულ პარამეტრებს შორის არსებული განსხვავებით.** საბოლოო ვერსიაზე მიღებული მაჩვენებელიც არაა საბოლოო, ვინაიდან ინდივიდუალურად ყველა ნაშრომს, **სტუდენტთა ინტერესებიდან გამომდინარე,** აკლდება ბიბლიოგრაფიის წილი.

8. პლაგიატის პროგრამაში ნაშრომის ვადის დარღვევით ატვირთვა შეუძლებელია. დარღვეული ვადის გაგრძელება ან/და აღდგენა არ დაიშვება.